



With the support of the  
Erasmus+ Programme  
of the European Union



# ევროკავშირისა და საქართველოში კარტელებისა და სახელმწიფო დახმარების რეგულირება

Jean Monnet Project

Erasmus+, Caucasus University

ევროკავშირის სამართლებრივი სახე

LFEU

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

სოლომონ მენაბდიშვილი/Solomon Menabdishvili

19 მაისი/MAY 2021

# ევროკავშირსა და საქართველოში კარტელებისა და სახელმწიფო დახმარების რეგულირება

- კონკურენციის სამართალი:
  - კარტელები
  - სახელმწიფო დახმარება
  - დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენება
  - კონცენტრაცია/შერწყმა

# კარტელი - ასოცირების შეთანხმება

*მუხლი 204*

ანტიტრასტული და შერწყმების მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი განხორციელება

1. მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე და რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.
2. მხარეებს უნდა გააჩნდეთ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კონკურენციის კანონების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.
3. მხარეები აცნობიერებენ თავიანთი კონკურენციის კანონების გამოყენებისას საჯაროობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვის მნიშვნელობას პროცედურული სამართლიანობის პრინციპისა და მხარეთა დაცვის უფლების გათვალისწინებით.

# ევროკავშირის ფუნქციონირების შეთანხმების (TFEU) 101 მუხლი

1. როგორც ერთიან ბაზართან შეუსაბამო აკრძალულია: ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმება, ეკონომიკური აგენტების ასოციაციების გადაწყვეტილება და შეთანხმებული პრაქტიკა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე და რომლის მიზანი არის ან რომელსაც შედეგად მოჰყვება ერთიან ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილება, შეზღუდვა ან დამახინჯება და განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც:

- ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ ადგენენ გასაყიდ ან შესასყიდ ფასს ან სხვა სავაჭრო პირობებს;
- ბ) ზღუდავენ ან აკონტროლებენ წარმოებას (პროდუქციას), ბაზრებს, ტექნიკურ განვითარებას ან ინვესტიციას;
- გ) ჰყოფენ ბაზრებს ან მიწოდების წყაროებს;
- დ) გარკვეულ სავაჭრო პარტიორებთან მიმართებაში ექვივალენტური გარიგებების შემთხვევაში აწესებს განსხვავებულ პირობებს, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
- ე) აწესებს გარიგების ისეთ პირობას, რომელიც გარიგების სხვა მხარეს დამატებით ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან არც ბუნებით და არც კომერციული გამოყენებით.

2. ნებისმიერი შეთანხმება ან გადაწყვეტილება, რომელიც ამ მუხლით არის აკრძალული, ავტომატურად ბათილია.

# ევროკავშირის ფუნქციონირების შეთანხმების (TFEU) 101-ე მუხლი

3. პირველი პარაგრაფით მოცემული დებულებები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში თუ:

- ეკონომიკურ აგენტებს შორის ნებისმიერი შეთანხმება ან შეთანხმების კატეგორია

- ეკონომიკური აგენტების ნებისმიერი გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების კატეგორია

- ეკონომიკური აგენტების ნებისმიერი შეთანხმებული პრაქტიკა ან შეთანხმებული პრაქტიკის კატეგორია

1. აუმჯობესებს საქონლის წარმოებას ან დისტრიბუციას ან ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროგრესს და

2. მომხმარებელზე გადადის სარგებლის სამართლიანი წილი  
თუმცა

1. ეკონომიკური აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც არ არის ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი და

2. არ აძლევს ეკონომიკურ აგენტებს კონკურენციის აღმოფხვრის შესაძლებლობას განსაზღვრული პროდუქტის არსებით ნაწილში.

# „კონკურენციის შესახებ“ კანონი

- 7 მუხლი - TFEU 101.1.2 მუხლი: 1. აკრძალვები; 2. ავტომატურად ბათილობა
- 8 მუხლი - კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმება - დე მინიმის წესი
- 9 მუხლი - TFEU 101.3. მუხლი; კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები - 4 კუმულატიური პირობა; საქართველოს მთავრობის დადგენილება #526  
<<https://admin.competition.ge/uploads/6a139dabee554853b01080aa259d7ec0.pdf>>

# 101.1 მუხლი

- აკრძალვების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. იმისათვის, რომ 101.1 მუხლი გამოყენებული იქნას საჭიროა დადგინდეს:
  1. ეკონომიკური აგენტების ან ეკ. აგენტების ასოციაციების არსებობა
  2. შეთანხმების, გადაწყვეტილების ან შეთანხმებული პრაქტიკის არსებობა
  3. მიზანი ან/და შედეგი (რომლის მიზანი არის ან რომელსაც შედეგად მოჰყვება ერთიან ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილება, შეზღუდვა ან დამახინჯება)
  4. კონკურენციაზე შესამჩნევი/მნიშვნელოვანი შედეგი
  5. წევრ სახელმწიფოების ვაჭრობაზე შესამჩნევი შედეგი

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განაცხადა, რომ შეთანხმება შეიძლება არ იქნეს აკრძალული თუ მისი შედეგი ბაზარზე უმნიშვნელოა.

# ეკონომიკური აგენტი undertaking

- ცნება არ არის განსაზღვრული TFEU-ში, თუმცა განმარტებულია სხვადასხვა გადაწყვეტილებაში. მაგალითად, Höfner and Elser v. Macrotron საქმეზე ECJ-მ განაცხადა, რომ საწარმოს კონცეფცია მოიცავს ყველა წარმონაქმნს, რომელიც ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსებისა.
- ევროპული ანტიტრესტული სამართლის მიხედვით, ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, ეს კი არის საქმიანობა, რომელიც მოიცავს საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას მოცემულ ბაზარზე, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და იმ გზისა, რომლითაც ის ფინანსირდება, შეიძლება მიიჩნეულ იქნეს ეკონომიკურ აგენტად. ეკ. აგენტის კვალიფიკაციისათვის მოგების მიღების განზრახვა არ არის საჭირო, არც საჯარო/ხელისუფლების ორგანოები დეფინიციით არიან გამორიცხულნი და ისინიც შეიძლება მოხვდნენ ეკ. აგენტების დეფინიციაში.

# ეკონომიკური აგენტი

- ბაზარზე საქონელს ან მომსახურებას წარმოადგენა
- მოგების მიღება
- თუმცა მოგების მიღების მიზანი არ იყოს გადამწვევტი
- 101 მუხლი არ გამოიყენება ერთი ეკონომიკური წარმონაქმნის მიმართ (მშობელ და შვილობილ კომპანიებს შორის გაფორმებული შეთანხმებების მიმართ, თუ შვილობილ კომპანიაში მშობელ კომპანიას აქვს იმდენი წილი (ან წესდებით ან შეთანხმებით განსაზღვრული აქვს ხმის გადამწვევტი გავლენა მნიშვნელოვან საკითხებზე ან ვეტოს უფლება), რომ შვილობილ კომპანიას არ შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს (გადამწვევტი გავლენა მოახდინოს მშობელმა კომპანიამ შვილობილ კომპანიაზე), მაგალითად 100%. როგორც წესი, 50 % წილზე უკვე შეიძლება 101 მუხლის გამოყენება)
- ECJ-მ განაცხადა, რომ 101 მუხლი, როგორც წესი, არ გამოიყენება საჯარო დაწესებულებების მიმართ  
შენიშვნა: იგივე წესები გამოიყენება პრინიპალისა და მისი აგენტის მიმართ

# სამართლებრივი სტატუსი

- ეკონომიკური აგენტების სამართლებრივი სტატუსს ყურადღება არ ექცევა. შესაბამისად, ფიზიკური პირები (ინდ. მეწარმეები), იურიდიული პირები, სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებებიც კი შეიძლება განისაზღვრონ როგორც ეკონომიკური აგენტები გარკვეულ სიტუაციებში, მიუხედავად იმისა, ისინი მიაწოდებენ საჯარო მომსახურებას ან ასრულებენ საჯარო სამსახურის ვალდებულებას.
- კომპანიები, ამხანაგობები, ინდივიდები, სპორტული ორგანიზაციები, სავაჭრო ასოციაციები, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები, შემგროვებელი საზოგადოებები, პროფესიული ორგანიზაციები და სხვა, როგორც წესი, კვალიფიცირდება როგორც ეკონომიკური აგენტი.

# პრეცედენტული სამართალი

- **ეკონომიკური აგენტი:** სახელმწიფო დასაქმების სააგენტო; ევროპის მაუწყებელთა კავშირი; დამოუკიდებელი საბაჟო აგენტები; ესპანეთის საფოსტო ოფისი; სექტორის საპენსიო ფონდი; სასწრაფო დახმარების აღმომჩენი სამედიცინო დახმარების ორგანიზაციები (cases: C-41/90; C-55/96; EBU [1993] OJ L179/23; C-35/96; C-244/94; C-67/96; C-475/99; C-49/07)
- **არა-ეკონომიკური აგენტი:** საჰაერო მიმოსვლის მაკონტროლებელი ორგანიზაცია; ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების სქემას; ავადმყოფობების ჯგუფების ფონდი (Cases: C-364/92; C-159/91; C-343/95; 30/87; C-218/00; C-205/03 P; C-264, 306, 354, 355/1)
- ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ 101-ე მუხლი არ გამოიყენება იმ კომუნების მიმართ, რომლებიც მოქმედებენ როგორც საჯარო ხელისუფლების ორგანოები და აღჭურვილნი არიან „საჯარო სამსახურის განხორციელებით“

# შეთანხმება, გადაწყვეტილება ან შეთანხმებული პრაქტიკა

- 101-ე მუხლი კრძალავს ერთობლივ და არა ინდივიდუალურ მოქმედებას. ის საჭიროებს „საიდუმლო მორიგების“ (collusion) ელემენტების არსებობას დამოუკიდებელ ეკონ. აგენტებს შორის.
- კონკურენციის ნორმების მოთხოვნაა თითოეულმა ეკონომიკურმა ოპერატორმა განსაზღვროს თავისი პოლიტიკა დამოუკიდებლად (ფასი, წარმოება, საქონელი, ბაზრები, ინოვაცია, ინვესტიცია და სხვა)
- აკრძალულია კომპანიებს შორის რაიმე სახის თანამშრომლობა ან ფარულ (საიდუმლო) გარიგებაში შესვლა, რაც კონკურენციის ნორმებს შეზღუდავს
- თუმცა, შეუძლიათ გონივრულად შეეწყონ კონკურენტების არსებულ ან სამომავლო ყოფაქცევას (პარალელური ყოფაქცევა)

# შეთანხმება

- ეს არის ეკონომიკურ ოპერატორებს შორის ნება-სურვილის დამთხვევა პოლიტიკის განხორციელებაზე, მიზნის მიყოლაზე ან ბაზარზე ერთიანი ყოფაქცევის მიღებაზე. თუ რა ფორმით იქნება მოცემული მხარეების ნება-სურვილი უმნიშვნელოა, რამდენადაც იგი წარმოადგენს მხარეების განზრახვის ზუსტ გამოხატულებას.
- საწარმოებმა უნდა გამოხატონ თავიანთი ერთობლივი განზრახვა იმოქმედონ კონკრეტული მიმართულებით ბაზარზე.
- აუცილებელია მტკიცებულების არსებობა (წერილობითი შეთანხმება, კორესპონდენცია)
- შეიძლება არსებობდეს წერილობითი ფორმით ან შეიძლება იყოს ზეპირი შეთანხმებაც, ასევე ე.წ. ჯელტმენების შეთანხმება
- შეიძლება იყოს სახელმწიფოს სამართლის ნორმებით წახალისებული ან დამტკიცებული ან შეიძლება ძალაში შევიდეს ხელისუფლების ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ. იმუნიტეტით არ სარგებლობს!!
- შეიძლება შედგებოდეს ქვეშეთანხმებებისაგან
- შეხვედრებში მონაწილეობის მიღება - თუ არ მოხდება მასზე განხილული საკითხებისაგან 'საჯარო დისტანცირება' მიიჩნევა, რომ მხარე, რომელიც მონაწილეობდა, არის შეთანხმების მონაწილე და მხედველობაში იღებს განხილულ საკითხებს თავის საქმიანობაში, თუ ამის საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს.
- თუ დილერი ან დისტრიბუტორი მისდევს მწარმოებლის პოლიტიკას გაუპროტესტებლად, ეს წარმოადგენს მხრიდან ჩუმ/მდუმარე თანხმობას და ამდენად წარმოადგენს შეთანხმებას.

# ერთი საერთო/მთლიანი შეთანხმება

- რამდენადაც ბევრი კარტელი კომპლექსურ და ხანგრძლივ ფარულ შეთანხმებას წარმოადგენს ზოგიერთი ფირმა ტოვებს შეთანხმებას ან ხელახლა უერთდება კარტელს დროთა განმავლობაში.
- კონკურენციის სამსახურებისთვის რთულია ცალკეული შეთანხმებების ან შეთანხმებული პრაქტიკის სერიების დამტკიცება. ამდენად, როდესაც საქმე გვაქვს რთულ კარტელებთან, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დონის თანამშრომლობას, ერთიანი კლასიფიკაცია გამოიყენება შეთანხმებებისა და შეთანხმებულ პრაქტიკის შორის კოორდინაციის დასადგენად.
- კომისიას არ მოეთხოვება კარტელის თითოეული წევრის მონაწილეობის ზუსტი დონის დადგენა. მას შეუძლია დაეყრდნოს ერთი, საერთო შეთანხმების კონცეფციას.
- კარტელის ზოგიერთი მონაწილე ყველა შეთანხმებას არ ესწრება და არ ყოფილა ჩართული გადაწყვეტილებების მიღების ყველა ასპექტში, თუმცა მათ ბრალი დაედოთ ერთ საერთო შეთანხმებაში მონაწილეობის მიღებაში.
- მაგალითი: Polypropylene case 1988

# შეხვედრებში მონაწილეობის მიღება

- რეგულარულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება და დასწრებაც კი სადაც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება იქნება მიღებული ან განხილული კონკურენციის ნორმების დარღვევად ითვლება, თუ არ იქნება დადგენილი, რომ ეკონომიკურ აგენტს არ ჰქონდა კონკურენციის საწინააღმდეგო გაზრახვა, როდესაც ის დაესწრო შეხვედრას და სხვა მონაწილეებმა იცოდნენ ამის შესახებ.
- ამდენად, ჩანს, რომ მონაწილე მდუმარედ იღებს შემოთავაზებას შევიდეს კონსპირაციულ გარიგებაში, თუკი იგი არ მოახდენს მიღებული გადაწყვეტილებისაგან (ან გინხილული საკითხებისაგან) საჯარო დისტანცირებას. მონაწილე/დამსწრე უნდა საჯაროდ/ნათლად გაემიჯნოს მათ.
- გასასამართლებელად არ გამოდგება ის ფაქტი, რომ მონაწილეს რეალურად არ განუხორციელებია ის გადაწყვეტილება (ან საკითხები) ან მხედველობაში არ მიუღია შეხვედრაზე მოწოდებული ინფორმაცია.
- არ უნდა დაესწროთ კონკურენტების შეხვედრებს, სადაც სენსატიური საკითხები განიხილება!!
- თანამონაწილეობა ასევე წარმოადგენს სამართალდარღვევაში პასიური სახის მონაწილეობას, რაც იმის საშუალებას მისცეს კონკურენციის ორგანოებს, რომ დასაჯოს ეკონომიკური აგენტი ერთი შეთანხმების კონტექსტში (მაგალითად, იურიდიული კომპანია კონსულტაციას უწევს კარტელს).

# საწარმოების ასოციაცია

- მუხლი გამოიყენება საწარმოების ასოციაციების მიმართაც, თუ მათი გადაწყვეტილებით დარღვეულია კონკურენციის სამართლის ნორმები.
  - 101-ე მუხლი გამოიყენება არამარტო ეკონომიკური აგენტების პირდაპირ კოორდინირებული მოქმედებების მიმართ, არამედ ასევე მათი ინსტიტუციონალიზირებული თანამშრომლობის მიმართაც.
  - ასოციაცია შედგება მსგავსი ტიპის სფეროში/ინდუსტრიაში მომუშავე საწარმოებისაგან. იგი პასუხისმგებლობას იღებს წარმოადგინოს და დაიცვას წევრების ერთიანი ინტერესი სხვა ეკონომიკური ოპერატორების, სამთავრობო სტრუქტურებისა და ზოგადად სახელმწიფოს წინაშე.
1. სავაჭრო ასოციაციები
  2. პროფესიული ასოციაციები (ადვოკატთა ასოციაცია, ბუღალტერთა ასოციაცია, არქიტექტორების ასოციაცია, სხვა)

# ასოციაციების გადაწყვეტილება

- ძირითადად საწარმოები ერთიანდებიან სავაჭრო ასოციაციებში, რაც უფრო ადვილს ხდის მათთვის შეთანხმდნენ ერთობლივ სავაჭრო პოლიტიკაზე (მაგალითად, ერთიანი ფასების სიაზე, მინიმალური გაყიდვის ფასზე, გაყიდვების კვოტებზე, ერთიან რეკლამაზე).
- ასოციაციის წევრების მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიძლება იყოს დახასიათებული როგორც გადაწყვეტილება ან შეთანხმება ან შეთანხმებული პრაქტიკა.
- ხშირია შემთხვევები, როდესაც ასოციაცია იღებს რეკომენდაციებს თავისი წევრებისათვის შეიძლება იყოს არასავალდებულო.
- ასოციაციების მიერ ხშირად ხდება კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება. ამით შეიძლება განხორციელდეს გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგის ფუნქცია.
- ასოციაციის მიერ ასევე ხშირად ხდება შემუშავება სერტიფიცირების სქემის, რომელიც ითვალისწინებს არაწევრების გარიცხვას ბიზნესიდან ან უცხოური საწარმოების არ შემვებას ბაზარზე.
- გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს ასოციაციის წესდება და ვაჭრობის წესებიც.

# შეთანხმებულ პრაქტიკა

- ფართო ცნებაა და მოიცავს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს გარდა შეთანხმებისა ან გადაწყვეტილებისა.
- მხარეებს შორის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტი, რომელიც მიზნად ისახავს წინასწარ იმ გაურკვევლობების აღმოფხვრას, რაც უკავშირდება კონკურენტების სამომავლო ყოფაქცევას. ამდენად, ეს ყოფაქცევა ხელს უწყობს მათი კომერციული საქმიანობის კოორდინაციას.
- პრევენდენტულ სამართალში განმარტებულია როგორც საწარმოებს შორის კოორდინაცია, რომელიც შეგნებულად ანაცვლებს კონკურენციის რისკებს პრაქტიკული თანამშრომლობით. თუმცა, შეთანხმება როგორც ასეთი არ არსებობს.
- არ ართმევს ეკონომიკურ ოპერატორებს უფლებას გონივრულად შეეწყონ კონკურენტების არსებულ ან სამომავლო ყოფაქცევას. თუმცა, გამორიცხავს მათ შორის რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპ კონტაქტს, რომლის მიზანი არის ან შედეგად მოჰყვება ბაზარზე ფაქტიური ან პონტენციური კონკურენტის ყოფაქცევაზე გავლენის მოხდენა ან მისი იმ ყოფაქცევის გამხელა კონკურენტისათვის, რომელიც მან მიიღო ან განიზრახა მიიღოს ბაზარზე.
- უბრალო (შეთანხმების გარეშე) პარალელური ყოფაქცევა კოორდინაციის ელემენტების გარეშე არ წარმოადგენს შეთანხმებულ პრაქტიკას (მაგალითად, ფასების გათანაბრება, ერთდრული ფასების ზრდა).

# შეთანხმებული პრაქტიკა

- საჭიროებს ურთიერთ თანამშრომლობას/კოორდინაციას ან კონტაქტს
- კონცეფცია არ საჭიროებს ფაქტიური გეგმის შემუშავებას
- შეთანხმებულობა საჭიროა პრაქტიკულად განხორციელდეს ბაზარზე
- შესვდრები და ინფორმაციის გაცვლა
- ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადასტურა, რომ შეთანხმებული პრაქტიკა შეიძლება გამომდინარეობდეს არამართო რეგულარულად შემდგარი შესვდრებისაგან, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა ხოლმე, არამედ ასევე ერთჯერადი ინფორმაციის გაცვლით ან ერთჯერადი შესვდრისაგანაც. **Case C-8/08 T-Mobile** (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:62008J0008:EN:HTML>)

# ორმაგი კლასიფიკაცია

- ხანდახან ძალიან რთულია ეკონომიკური აგენტების ყოფაქცევის კლასიფიკაცია როგორც შეთანხმება ან შეთანხმებული პრაქტიკა, რადგან ორივეს ელემენტებს შეიცავს.
- შესაბამისად, ევროკავშირის კონკურენციის ორგანოები ხშირად იყენებენ ტერმინს “შეთანხმება და/ან შეთანხმებული პრაქტიკა” იმისათვის, რომ დაისაჯოს ეკონომიკური აგენტების ყველა შესაძლო კოორდინირებული მოქმედება

# მიზანი ან შედეგი (განცალკევებულად)

- თუ მიზანი არის კონკურენციის თავიდან აცილება, შეზღუდვა ან დამახინჯება მაშინ აღარ არის საჭირო მისი შედეგის შემოწმება. თუმცა, შედეგის შეფასება საჭიროა ჯარიმების ოდენობის განსაზღვრისათვის.
- მიზნისა და შედეგის დასადგენად საჭიროა შეთანხმების ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზი.
- ზოგიერთი შეთანხმება შეიცავს მძიმე შეზღუდვებს, მაგალითად ფასის ფიქსაციას, წარმოების შეზღუდვას ან ბაზრის გაყოფას. ასევე ვერტიკალური შეთანხმებები – მინიმალური გადაყიდვის ფასის ფიქსაციას ან დილერისათვის აბსოლიტური ტერიტორიული დაცვის უზრუნველყოფას ან პარალელური ვაჭრობის შეზღუდვის სხვა ფორმებს. ამ შეზღუდვებს ზოგადად აქვს კონკურენციის შეზღუდვის მიზანი.

# შესამჩნევი შედეგი

- იმისათვის, რომ ქმედება იყოს აკრძალული 101-ე მუხლით საჭიროა, რომ მან მან იქონიოს შესამჩნევი შედეგი
- Commission Notice on agreements of minor importance which do not appreciably restrict competition under Article 81(1) of the Treaty establishing the European Community (deminimis) [2001] (უმნიშვნელო შეთანხმებები):
  1. ჰორიზონტალური შეთანხმების მხარეების გაერთიანებული წილი ბაზარზე არ უნდა აღემატებოდეს **10%**
  2. ხოლო არაკონკურენტებს შორის შეთანხმების შემთხვევაში თითოელი მხარის წილი არ უნდა იყოს **15%-ზე მეტი**
  3. თუ კონკურენცია ბაზარზე შეზღუდულია ისეთი შეთანხმებების **ერთობლივი ეფექტით** რომელიც გაფორმებულია **სხვადასხვა მიმწოდებლებსა და დისტრიბუტორებს შორის** მაშინ გამოიყენება **5%**
- თუ შეთანხმება ითვალისწინებს **მძიმე შეზღუდვებს** ეს პროცენტები არ იმუშავებს (11 მუხლი).

# შესამჩნევი შედეგი

- კომისიის 2004 წლის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რომელიც ეხება ვაჭრობის კონცეფციაზე გავლენას TFEU-ის 81-ე და 82-ე მუხლების მიხედვით (**Commission guidelines on the effect on trade concept contained in article 101 and 102 of the treaty**) შეთანხმებებს არ შეუძლიათ შესამჩნევი გავლენა იქონიონ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე, თუ შესაბამისი კუმულატიური პირობები იქნება დაკმაყოფილებული, კერძოდ
  1. მხარეების ერთიანი საბაზრო წილი არ აღემატება **5%**, და
  2. ჰორიზონტალური შეთანხმებების შემთხვევაში ევროკავშირში მათი ერთიანი წლიური ბრუნვა არ აღემატება **40 მილიონ ევროს**
  3. ვერტიკალური შეთანხმებების შემთხვევაში ევროკავშირში მათი ერთიანი წლიური ბრუნვა არ აღემატება **40 მილიონ ევროს**

# ჰორიზონტალური ურთიერთობები:

1. ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების ფიქსაცია
  2. წარმოების შეზღუდვა
  3. ბაზრების გაყოფა
  4. დისკრიმინაციული პირობები
  5. შებოჭვა-კომპლექტაცია
  6. მანიპულაციური ტენდერები
- სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლი.

# ფასის ფიქსაცია

- ყველაზე მძიმე შეზღუდვას წარმოადგენს
- ყველაზე გავრცელებული თანამშრომლობის ფორმაა
- ფასებზე კონკურენცია ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების კონკურენტული ქცევის ფუნდამენტურ ასპექტად მიიჩნევა.
- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ჯერ კიდევ 1977 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #26/76 განაცხადა, რომ ფასის კონკურენცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი შეზღუდვა დაუშვებელია.

# ფასის ფიქსაცია

- ფასის კონკურენციის მიზანია ფასის ყველაზე დაბალ შესაძლო დონეზე დაწევა. თითოეული მწარმოებელი თავისუფალია საკუთარი ფასის განსაზღვრაში, რა დროსაც მას შეუძლია მხედველობაში მიიღოს კონკურენტების არსებული და სამომავლო ქცევა.
- თუმცა, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება კრძალავს ეკონომიკური აგენტების ნებისმიერი სახის თანამშრომლობას, რომელიც მიმართულია კოორდინირებულად ფასის ფიქსაციისაკენ და უზრუნველყოფს კონკურენტებს შორის იმ გაურკვევლობების წარმატებით აღმოფხვრას, რაც დაკავშირებულია მათი ქცევის მნიშვნელოვან ელემენტებთან, როგორიცაა ფასის მატების ოდენობა, დრო და ადგილი.

# ფასის ფიქსაცია

- ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლი უკანონოდ აცხადებს ყველა შეთანხმებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზღუდავს ფასის კონკურენციას.
- ფასის პირდაპირი შეზღუდვა შეიძლება მოხდეს ეკონომიკური აგენტების მიერ შემუშავებული ერთიანი ფასის სისტემის მეშვეობით.
- რაც შეეხება ფასის არაპირდაპირ შეზღუდვას, ეს შეიძლება მოხდეს ეკონომიკური აგენტების დავალდებულებით არ შესთავაზონ ფასდაკლება ან ისინი შეთანხმდნენ ერთიან ფასდაკლებაზე.

# შესასყიდი ფასის ფიქსაცია

- თამბაქოს ბაზარზე
- ყურძნის ბაზარზე

# სხვა სავაჭრო პირობებზე შეთანხმება

- ზოგიერთ ბაზარზე არასაფასო კონკურენცია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ფასის შემცირების შესაძლებლობა უკვე შეზღუდულია. მაგალითად, ოლიგოპოლიურ ბაზარზე ერთ ოლიგოპოლისტს შეუძლია მიიზიდოს კონკურენტის მომხმარებელი იმის გამო, რომ იგი სთავაზობს უკეთეს პირობას საქონლის შეძენის შემდეგ (უფასო მიტანის მომსახურება ან/და საგარანტიო მომსახურება).

# სხვა სავაჭრო პირობა

- რეკლამა
- ხარისხი
- გადახდები - მთლიანი გადახდა თუ ნაწილ-ნაწილ
- მომსახურება - მიტანა
- გარანტია - შეკეთება და გამოცვლა

# წარმოების შეზღუდვა

- ეკონომიკურმა აგენტებმა შეიძლება დიდი მოგება მიიღონ წარმოების შეზღუდვის შეთანხმების შედეგადაც. კერძოდ, შეთანხმებაში მონაწილე თითოეულ ეკონომიკურ აგენტს **დაუდგინენ წარმოების კვოტას**.
- ხშირია შემთხვევები, როდესაც კარტელის წევრები თანხმდებიან კვოტის სისტემაზე, რომლის მიხედვითაც თითოეული მათგანი ბაზარს გარკვეულ პერიოდში მიაწვდის პროდუქციის განსაზღვრულ ნაწილს.
- ეკონომიკური აგენტები ასევე შეიძლება შეთანხმდნენ, რომ არ განახორციელებენ ინვესტიციას და არ მოახდენენ ბაზარზე არსებული საქონლის ან/და წარმოების პროცესის განვითარებას.

# წარმოების შეზღუდვა

- წარმოების შეზღუდვა ავტომატურად ქმნის დისბალანსს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, რაც საბოლოოდ ფასის მატებას იწვევს.
- როგორც წესი, ჭარბ წარმოებას მოყვება ფასის შემცირება, მაშინ როდესაც წარმოების შემცირება ფასის ზრდას იწვევს.
- საქმეების უმრავლესობა, რომელიც ფასის ფიქსაციას ეხება, ასევე მოიცავს წარმოების შეზღუდვასაც, რადგან წარმოების კონტროლის განხორციელების გარეშე ხშირად შეუძლებელია ფასის ფიქსაცია.

# წარმოების შეზღუდვა

- ნავთობპროდუქტების ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანება (OPEC), რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ საერთაშორისო კარტელურ ორგანიზაციად, ფასის ფიქსაციას არ ითვალისწინებს. თუმცა, იგი განსაზღვრავს თუ რა რაოდენობის ნავთობი უნდა მოიპოვოს და ექსპორტი მოახდინოს ორგანიზაციის თითოეულმა წევრმა.
- 1973 წლის მოლაპარაკებების შედეგად დადგინდა ნავთობპროდუქტების წარმოების კვოტა, რამაც ბაზარზე დაახლოებით ფასის გაოთხმაგება გამოიწვია და შეთანხმების შედეგად მხარეებმა ძალიან დიდი ოდენობის მოგება მიიღეს.

# ბაზრის და მომხმარებლების განაწილება

- კონკურენციის აღმოფხვრა დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეიძლება მოხდეს არამართო ფასის ფიქსაციის, არამედ ასევე სხვა ხერხითაც. მაგალითად, თუ ეკონომიკური აგენტები შეთანხმდებიან, რომ გაინაწილებენ ბაზარს ერთმანეთს შორის გეოგრაფიული ტერიტორიების მიხედვით ე.წ. “შინაურული” ბაზრის პრინციპის დაცვით და თითოეული ეკონომიკური აგენტი გაყიდვას განახორციელებს მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც აწარმოებს პროდუქციას.
- ფირმებმა ასევე შესაძლებელია გაიყონ ბაზარი ერთმანეთს შორის მყიდველის ტიპების მიხედვით. მაგალითად, ერთი ეკონომიკური აგენტი მიაწვდის სავაჭრო ობიექტებს, მეორე კი – საჯარო დაწესებულებებს.

# ბაზრის და მომხმარებლების განაწილება

- ბაზრის გეოგრაფიული განაწილება, მომხმარებლის პოზიციიდან გამომდინარე, არის მძიმე შეზღუდვა, რადგან მას წართმეული აქვს არჩევანის უფლება, რომელიც ფასის ფიქსაციის დროს აქვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბაზარზე სხვადასხვა მიმწოდებლების საქონელი იყიდება.
- აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფასის კონკურენციის შეზღუდვა აიძულებს შეთანხმების მხარეებს ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ სხვა პირობაზე. მაგალითად: ხარისხზე, მომსახურებაზე. ბაზრის განაწილების შემთხვევაში კი ეკონომიკურ აგენტებს შორის ყველანაირი კონკურენცია აღმოფხვრილია.
- ევროკავშირში აფერხებს ერთიანი ბაზრის შექმნის მიზანს და, შესაბამისად, წარმოადგენს მძიმე დარღვევას.

# დისკრიმინაციული პირობები

- დისკრიმინაციულ პირობებში იგულისხმება, მაგალითად ერთი და იგივე საქონლისა და მომსახურების მიყიდვა სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორისათვის განსხვავებულ ფასად, მაშინ როდესაც მათი წარმოების ღირებულება იდენტურია.
- დისკრიმინაციულ პირობად ითვლება ასევე ერთი და იგივე საქონლისა და მომსახურების მიყიდვა სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორისათვის იდენტურ ფასად, მაშინ როდესაც მათი წარმოების ღირებულება განსხვავებულია.
- განსხვავებულ ფასად მიყიდვა შეიძლება გამართლებული იქნეს სხვადასხვა გარემოებით. მაგალითად, განსხვავებული ფასი შეიძლება გამომდინარეობდეს ტრანსპორტირების განსხვავებული ხარჯიდან.
- ბუნებრივია, თუ ერთ საცალო მოვაჭრეს მწარმოებელი მიაწვდის უფრო დაბალ ფასად ვიდრე მეორეს, პირველ მოვაჭრეს შეეძლება მიიზიდოს დაბალ ფასად უფრო მეტი კლიენტი, რაც მეორე მოვაჭრეს კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენებს.

# შეზღვევა-კომპლექტაცია

- პრაქტიკაში გავრცელებულია შეზღვევა-კომპლექტაციის ორი სახეობა:
  1. **უბრალო შეზღვევა**, როდესაც ძირითადად შესაძლებელია ორი პროდუქტის მხოლოდ ერთად შეძენა. მაგალითად, როდესაც ვყიდულობთ ფენსაცმელს, ჩვენ ვიძენთ ორ პროდუქტს ერთად – ფენსაცმელს და ზონარს. რეალურად, ძნელად წარმოსადგენია ფენსაცმლის ყიდვა ზონარის გარეშე. თუმცა, ზონარის ცაკლე შეძენა შესაძლებელია.
  2. **შერეული შეზღვევა-კომპლექტაციას** ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ორი განსხვავებული პროდუქტი იყიდება ცალ-ცალკე, თუმცა როდესაც მათი ერთად შეთავაზება ხდება გასაყიდად, ისინი იყიდება ფასდაკლებით. მაგალითად, თუ ვიტამინი A იყიდება 10 ლარად და ვიტამინი B - ასევე 10 ლარად, მათი ერთად, კომპლექტში გაყიდვის შემთხვევაში კი ისინი იყიდება 15 ლარად.
- შეზღვევა-კომპლექტაციის ძირითადი პრობლემა კონკურენციის სამართლის კუთხით იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკურ აგენტებმა ეს პრაქტიკა შეიძლება გამოიყენონ **ერთი ბაზრიდან მეორე ბაზარზე პოზიციის გასაძლიერებლად**, რაც საბოლოოდ კონკურენტის ბაზრიდან გაძევებას ისახავს მიზნად.

# მანიპულაციური ტენდერები

- ერთ-ერთი გავრცელებული თანამშრომლების ფორმაა სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის დროს.
- იმის ნაცვლად, რომ მათ ყველაზე შესაძლო დაბალი ფასის სატენდერო წინადადებით უპასუხონ ტენდერის გამომცხადებელს, ტენდერში მონაწილე მხარეები თანხმდებიან იმაზე, თუ ვინ იქნება მათ შორის ტენდერში გამარჯვებული.
- ტენდერში მონაწილე ეკონომიკური აგენტის მიერ შეტანილი სატენდერო წინადადება უნდა იყოს მისი ინდივიდუალური ეკონომიკური კალკულაციის შედეგი და ტენდერში მონაწილე სხვა ეკონომიკური აგენტი არ უნდა ფლობდეს კონკურენტის სატენდერო წინადადების შესახებ ინფორმაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას.
- *კონსოლიდირებული ტენდერები*

# მანიპულაციური ტენდერების მაგალითები:

1. ტენდერში მონაწილე ეკონომიკური აგენტები შეთანხმდებიან სავარაუდო გამარჯვებულის ვინაობაზე და, შესაბამისად, ამ უკანასკნელს ექნება ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადება შეტანილი;
2. ტენდერში მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან სავარაუდო გამარჯვებულის ვინაობაზე და მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიტანს საკუთარ სატენდერო წინადადებას, დანარჩენი ეკონომიკური აგენტები არ მიიღებენ მონაწილეობას ტენდერში;
3. ტენდერში მონაწილე ეკონომიკური აგენტები შეთანხმდებიან გაინაწილონ ბაზარი ტერიტორიული ნიშნის მიხედვით ე.წ. “ტერიტორიულობის პატივისცემის” პრინციპის შესაბამისად (მაგალითად, ბელგიაში მოქმედი ეკონომიკური აგენტი გაიმარჯვებს ბელგიაში გამოცხადებულ ტენდერებში, ჰოლანდიაში მოქმედი ეკონომიკური აგენტი გაიმარჯვებს ჰოლანდიაში გამოცხადებულ ტენდერებში);
4. ტენდერში მონაწილე ეკონომიკური აგენტები შეთანხმდებიან გაინაწილონ ტენდერები მათი გამომცხადებლების მიხედვით (მაგალითად, ერთი ეკონომიკური აგენტი მიიღებს მონაწილეობას მხოლოდ სამთავრობო დაწესებულებების ტენდერებში, მეორე – საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, მესამე – მუნიციპალური ორგანოების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში);
5. ტენდერში მონაწილე ფირმები შეიძლება ასევე შეთანხმდნენ ტენდერის გამომცხადებლების განაწილებაზე მათთან ხანგრძლივი და კარგი ურთიერთობის პატივისცემის პრინციპის საფუძველზე. მაგალითად, თუ კომპანია ა რამდენჯერმე იყო გამარჯვებული რომელიმე სამთავრობო დაწესებულების მიერ გამოცხადებულ ტენდერში, შესაბამისად, იმავე დაწესებულების მიერ გამოცხადებულ ტენდერში კომპანია ა-ს უპირატესობა ენიჭება და მხოლოდ მან უნდა გაიმარჯვოს. კომისიამ წინასწარ იზოლირებული მიღების საქმეზე დაადგინა, რომ ტენდერში მონაწილე ეკონომიკური აგენტები სწორედ კლიენტებთან არსებული ხანგრძლივი ურთიერთობის პრინციპის დაცვით მონაწილეობდნენ ტენდერებში;
6. ტენდერში მონაწილე ეკონომიკური აგენტები შეიძლება ასევე შეთანხმდნენ, რომ რომელიმე მათგანის ტენდერში გამარჯვების შემდეგ ტენდერით შესასრულებელ სამუშაოებს გაინაწილებენ ერთმანეთს შორის. მაგალითად, სავაჭრო ასოციაციის სამდივნო გაინაწილებს შესასრულებელ სამუშაოებს წევრებს შორის.

# მანიპულაციური ტენდერები ევროკავშირში

- ევროკავშირში კომისიამ დააჯარიმა ლიფტებისა და ექსკალატორების კომპანიები 990 მილიონი ევროთი.
- ევროკავშირის ინსტიტუტებში მოხდა ამ კარტელის შედეგად ლიფტებისა და ექსკალატორების მონტაჟი.
- [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-07-209\\_en.htm?locale=en](http://europa.eu/rapid/press-release_IP-07-209_en.htm?locale=en)

# სისხლის სამართლის კოდექსი

- დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ

## მუხლი 195<sup>1</sup>. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევა

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში მონაწილეობისას შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, –  
ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
  2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, –  
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.
- შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

- 2010 წლის 16 ივლისი
- 2017 წლის 1 ივლისი

# ჯგუფური განთავისუფლება მთავრობის დადგენილება #526

1. ეს დადგენილება ვრცელდება იმ ვერტიკალურ ხელშეკრულებებზე, რომელიც გულისხმობს:
  - ა) შეთანხმებას დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის;
  - ბ) შეთანხმებას ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის.
2. ჰორიზონტალური ან/და ვერტიკალური ხელშეკრულებების შემთხვევაში, დადგენილება ვრცელდება:
  - ა) ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებაზე;
  - ბ) სპეციალიზაციის შესახებ ხელშეკრულებაზე;
  - გ) საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულებაზე.

# მტკიცებულება და მტკიცების ტვირთი

- სამართალდარღვევის ჩადენის მტკიცების ტვირთი აწევს კონკურენციის ორგანოს, ხოლო ოთხი კუმულატიური პირობის შესრულების მტკიცების ტვირთი კი აწევს შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს.
- კარტელის დასადგენად ხშირად პირდაპირ მტკიცებულებებთან ერთად გამოიყენება არაპირდაპირი მტკიცებულებებიც, როგორცაა მაგალითად:
  1. კომუნიკაციური მტკიცებულება და
  2. ეკონომიკური მტკიცებულება (ორ კატეგორიად იყოფა: ქცევით და სტრუქტურულ მტკიცებულებად.).
- **“საავტომობილო საწვავის ბაზარზე კონკურენციის სააგენტოს 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილების ანალიზი”,** ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“, 2016 წლის #3, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2016w-n3.pdf>>. 59-97 გვ.

# ვერტიკალური შეთანხმება

- შეთანხმება დადებულია ფირმებს შორის, რომლებიც ოპერირებენ წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე.
- ვერტიკალური შეთანხმებები უზრუნველყოფს კავშირს სადისტრიბუციო ჯაჭვში ნედლეულიდან საბოლოო მომხმარებლამდე.
- ვერტიკალური შეთანხმების მხარეები ძირითადად აწარმოებენ დამატებით პროდუქტებს ან მომსახურებას და არა კონკურენტ პროდუქტებსა და მომსახურებას.
- ვერტიკალურ შეთანხმებებს შეიძლება ჰქონდეს კონკურენციის სასარგებლო (მაგ. ინოვაციური დისტრიბუციის მეთოდი), ასევე კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგები.
- ზოგადად ჰორიზონტალური შეხლუდვები უფრო საზიანოა ვიდრე ვერტიკალური.

# ვერტიკალური შეთანხმება

- მწარმოებელს შეუძლია აირჩიოს თავისი პროდუქტების გაყიდვის რამდენიმე გზა:
  1. დაარსოს თავისი სადისტრიბუციო ქსელი;
  2. შეიძინოს საწარმო, რომელიც უკვე საქმიანობს დისტრიბუციის ბიზნესში;
  3. მიანდოს დამოუკიდებელ დისტრიბუტორს საქონლისა და მომსახურების გაყიდვა.
- პირველი ორ შემთხვევაში ადგილია აქვს ვერტიკალურ ინტეგრაციას.
- დისტრიბუციის მეთოდი დამოკიდებულია პროდუქტისა და მომსახურების ბუნებაზე, ბაზრის ბუნებაზე, მწარმოებლის სიდიდეზე და რესურსებზე, საგადასახადო ან სამართლებრივ ფაქტორებზე.

# კომერციული აგენტი

- შეიძლება იყოს პრინციპალის დამხმარე ორგანო, რომელიც წარმოადგენს პრინციპალი საწარმოს ინტეგრირებულ ნაწილს, ან
- დამოუკიდებელი ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც თავის თავზე იღებს ფინანსურ და კომერციულ რისკებს, რომელიც უკავშირდება გაყიდვებს ან მესამე მხარესთან გაფორმებული შეთანხმების შესრულებას.
- თუ აგენტი თავის თავზე იღებს მხოლოდ ფინანსური ან კომერციული რისკების უმნიშვნელო ნაწილს მაშინ 101 მუხლი არ გამოიყენება.

# კომერციული აგენტი

- კომერციული აგენტის ფუნქციები არის შეზღუდული გაყიდვების შეთანხმებების მოლაპარაკებით, რომლებიც იღება პრინციპალის სახელით.
- ისინი იღებენ საკომისიოს მათ მიერ განხორციელებული გაყიდვების შესაბამისად ან/და ფიქსირებულ ხელფასს.

## შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული:

- აგენტმა არ უნდა შეიძინოს საკუთრების უფლება გასაყიდ საქონელზე;
- იგი არ იღებს თავის თავზე საქონლის მყიდველისათვის მიწოდების ხარჯებს;
- მან საკუთარი ხარჯებით და რისკზე არ უნდა შეინახოს გასაყიდი საქონელი;
- მას არ ეკისრება მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობა გაყიდული საქონელით გამოწვეულ ზიანზე;
- ხელშეკრულების შეუსრულებლობის დროს მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება;
- აგენტი ვალდებული არ არის პირდაპირ ან არაპირდაპირ ინვესტიციები განახორციელოს გაყიდვების სტიმულირებაში;
- არ ახორციელებს ბაზრისთვის დამახასიათებელ ინვესტიციებს მოწყობილობებში, უძრავ ქონებაში ან კადრების სწავლებაში;
- აგენტი არ ახორციელებს სხვა საქმიანობას, რომელიც მოითხოვება პრინციპალის მიერ მოცემული პროდუქტის ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი ხარჯები ანაზღაურებულია პრინციპალის მიერ.
- აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. თუ აგენტი გაწევს ერთ ან მეტ ზემოთ ჩამოთვლილ ხარჯსა და/ან რისკს, აგენტსა და პრინციპალს შორის დადებული შეთანხმება არ დაკვალიფიცირდება ნამდვილი აგენტის შეთანხმებად.

# დამოუკიდებელი დისტრიბუტორი

- თვითონ ჰყიდის საქონელს ან მიაწოდებს მომსახურებას.
- ისინი შეიძლება ამცირებდნენ დისტრიბუციის ხარჯებს ან უზრუნველყოფდნენ ეფექტურ დისტრიბუციას და ზრდიდნენ მწარმოებლის პროდუქტის გაყიდვებს.

# ვერტიკალური შეთანხმებების ძირითადი სახეები

1. ერთი ბრენდის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დისტრიბუტორი ვაღდებულება მოიპოვოს განსაზღვრული ან სრული რაოდენობა პროდუქტებისა მხოლოდ ერთი მწარმოებლისაგან, რაც იწვევს დისტრიბუციაში გარკვეულ ეფექტურობას. თუმცა, კონკურენციაში არ შესვლისა და განსაზღვრული რაოდენობის საქონლის შექმნის მუხლები უკრძალავს ან ხელს უშლის დისტრიბუტორებს მართონ კონკურენტების პროდუქტები. ამ შეთანხმებებმა ან მსგავსი შეთანხმებების ქსელმა შეიძლება გააერთიანონ გასაყიდი ობიექტები და კონკურენტებს არ მისცეს მისასვლელი სადისტრიბუციო ქსელთან. მაგ: ლუდის ბაზარი.

# ვერტიკალური შეთანხმებების ძირითადი სახეები

2. *ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმება* იმუნიტეტს აძლევს დისტრიბუტორებს. მათ ეკრძალებათ სხვა დისტრიბუტორის ტერიტორიაზე როგორც აქტიური, ასევე პასიური გაყიდვები. კომისის მტკიცებით, თუ ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმება ასევე მოიცავს აბსოლუტურ ტერიტორიულ დაცვას მაშინ ეს შეთანხმება კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის მომტანია და უნდა აიკრძალოს.

  - სასამართლოს განცხადებით, ექსკლუზიური სადისტრიბუციო შეთანხმება არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, როდესაც მწარმოებელი შედის ახალი ბაზარზე და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება არის საჭირო.
  - ექსკლუზიური სადისტრიბუციო შეთანხმება ზღუდავს გაყიდვებს სხვა ექსკლუზიურ ტერიტორიებზე, ამცირებს ბრენდის შიგნით კონკურენციას და იწვევს ბაზრის გაყოფას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფასის დისკრიმინაცია.

# ვერტიკალური შეთანხმებების ძირითადი სახეები

**3. შერჩევითი დისტრიბუციის სისტემა.** თუ მომწოდებელს უნდა შექმნას თავისი საქონელის იმიჯი ან/და იმის უზრუნველყოფა მოახდინოს, რომ გაყიდვებს თან ერთვოდეს სპეციფიური მომსახურების პირობები, მას შეუძლია აირჩიოს აღნიშნული სისტემა. ამ შემთხვევაში მომწოდებელი შეარჩევს საცალო მოვაჭრეებს რაოდენობის ან/და ხარისხის (მომსახურების დონე, შენახვის დონე და ა.შ.) ან ადგილმდებარეობის მიხედვით.

- იმისათვის, რომ კონკურენციას არ ეწინააღმდეგებოდეს შერჩევითი დისტრიბუციის სისტემა შემდეგი კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული:
  - პროდუქტი/მომსახურება თავისი ხასიათით და/ან ნიშნებით უნდა საჭიროებდეს შერჩევითი დისტრიბუციის სისტემას;
  - დისტრიბუტორები უნდა შეირჩეს ხარისხობრივი ხასიათის ობიექტური კრიტერიუმებით (შენობის ზომა, კადრების ტექნიკური კვალიფიკაცია), რომლებიც დადგენილი იქნება საყოველთაოდ და არ გამოიყენება დისკრიმინაციულად ზოგიერთი საცალო მოვაჭრის საწინააღმდეგოდ;
  - ეს კრიტერიუმები არ უნდა მოითხოვდეს იმაზე მეტს რაც არის რეალურად საჭირო ამ პროდუქტებისათვის/მომსახურებისათვის.
- მაგალითად: ძვირფასეულობა, ძვირად ღირებული პროდუქტები – მობილური ტელეფონები და სხვა.

# ვერტიკალური შეთანხმებების ძირითადი სახეები

4. *ფრენშაიზინგის შეთანხმებით* ფრენშაიზის მიმცემი ახდენს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ლიცენზიით გადაცემას ფრენშაიზის მიმღებზე. ფრენშაიზინგის შეთანხმება მოიცავს რომელიმე სავაჭრო ნიშანს და ნოუ-ჰაუს საქონელისა ან მომსახურების გამოყენებაზე და დისტრიბუციაზე. ფრენშაიზის მიმცემი ჩვეულებრივ უწევს ფრენშაიზის მიმღებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კომერციულ და ტექნიკურ დახმარებას. ლიცენზია და დახმარება ფრენშაიზინგით გაცემული ბიზნესს მეთოდების განუყოფელი ნაწილია. ფრენშაიზინგის სისტემა საშუალებას აძლევს ფრენშაიზის მიმღებს დამოუკიდებელი ბიზნესი აწარმოოს ფრენშაიზის მიმცემის სახელისა და ნოუ-ჰაუს გამოყენებით.

- ფრენშაიზის მიმცემს შეუძლია წაუყენოს შემდეგი მოთხოვნები ფრენშაიზის მიმღებს:
  - გამოიყენოს ფრენშაიზის გამცემის მეთოდები და ნოუ-ჰაუს;
  - ფრენშაიზის მიმცემის ინსტრუქციის მიხედვით გახსნას და მოაწყოს გასაყიდი ფართები;
  - მოიპოვოს ფრენშაიზის მიმცემის თანხმობა ფრენშაიზინგის გადაცემამდე;
  - გაყიდოს მხოლოდ ფრენშაიზის მიმცემის მიერ მიწოდებული პროდუქტები;
  - მიიღოს ფრენშაიზის მიმცემის თანხმობა ყველა რეკლამაზე.

# შეზღუდვები და ვალდებულებები

1. ექსკლუზიური ტერიტორია ან ექსკლუზიური კლიენტის ჯგუფი
  2. გადასაყიდი ფასის განსაზღვრა, მაგალითად მინიმალური გადასაყიდი ფასის ფიქსაცია ან გადასაყიდი ფასის ფიქსაცია (აკრძალული არ არის რეკომენდირებული ფასების მიწოდება და მაქსიმალური ფასების დაწესება).
  3. გასაყიდი პუნქტების ტიპისა და რაოდენობის შეზღუდვა, საიდანაც მოხდება მწარმოებლის პროდუქტების გაყიდვა. ამ დროს დილერს არ შეუძლია არავტორიზირებული დისტრიბუტორებისაგან ყიდვა.
- ასეთი სახის შეზღუდვები ზღუდავს ბრენდის შიგნით კონკურენციას, რის შედეგადაც ისინი სულ მცირე მაინც ბრენდებს შორის კონკურენციას ზღუდავს.
  - მეორეს მხრივ, მათი მთავარი მიზანი შეიძლება იყოს დისტრიბუციის წახალისება რათა დისტრიბუტორებმა კონცენტრირება მოახდინონ მწარმოებლის პროდუქტების გაყიდვების გაძლიერებაზე და, ამდენად, გაზარდონ ბრენდებს შორის კონკურენცია.

# აბსოლუტური ტერიტორიული დაცვა

- კომისიის აზრით ატდ საჭიროა განსაზღვრული პერიოდით იმ დისტრიბუტორის დასაცავად, რომელიც განიცდის მნიშვნელოვან დანახარჯებს (სშირად დაუბრუნებელს) რათა მან დაიწყოს ან/და განავითაროს ახალი ბრენდი ან არსებული ბრენდი ახალ ბაზარზე შეიტანოს. ამ შემთხვევაში სხვა დისტრიბუტორებისთვის პასიური გაყიდვების აკრძალვა მის ტერიტორიაზე ან განსაზღვრულ კლიენტების ჯგუფზე არ არღვევს 101.1 მუხლს თუ ეს აკრძალვა გრძელდება 2 წლის ვადით, მას შემდეგ რაც ეს დისტრიბუტორი დაიწყებს სახელშეკრულებო საქონელის ან მომსახურების გაყიდვას.

# ტერიტორიის შეზღუდვა

აბსოლუტური ტერიტორიული დაცვის მაგალითები:

- საქონელის გაგზავნა აკრძალულია
- ექსპორტი ნებადართულია თუ თანხმობა მიღებულია მწარმოებლისაგან ან მას შეტყობინა გაეგზავნა
- როდესაც საქონელი მიწოდებული აქვს დისტრიბუტორს და ინვოისში წერია, რომ 'ექსპორტი აკრძალულია'
- არაკამარისი ოდენობის საქონელი არის მიწოდებული იმისათვის, რომ ექსპორტზე არ გავიდეს საქონელი
- თუ ბონუსები არ ითვლება ექსპორტზე გასული საქონელიდან
- თუ ექსპორტირებული საქონელი მწარმოებლის მიერ არის უკან დაბრუნებული
- მიწოდებულ საქონელს ადევს ისეთი ნიშანი, რომ პარალელური იმპორტიორების იდენტიფიცირება ხდება
- თუ გარანტია შეზღუდულია იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიით, სადაც მოხდა საქონელის ყიდვა
- თუ ორმაგი ფასი არის გამოყენებული ექსპორტის ასაკრძალად
- შეთანხმებით დისტრიბუტორს მოეთხოვება იმ კლიენტის საბუთების გადაცემა მწარმოებელზე თუ ის სხვა ტერიტორიიდან არის
- თუ მწარმოებელი იმუქრება კონტრაქტის შეწყვეტით ან ფაქტიურად წყვიტავს კონტრაქტს იმ დილერთან ან დისტრიბუტორთან, რომელიც გაყიდის მისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ
- თუ ფინანსური დახმარება არის შესაძლებელი იმ პროდუქტებზე, რომელიც მიწოდებული აქვს დისტრიბუტორს და გამოყენებულია დისტრიბუტორისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე
- თუ უცხოელ კლიენტებს მოეთხოვებათ გადაუხადონ დეპოზიტი მწარმოებლებს, რაც არ მოეთხოვება ნაციონალ მომხმარებლებს.

# ფასების ფიქსაცია

- შეზღუდვა ეხება საქონლისა და მომსახურების გასაყიდ ფასს. კერძოდ, მიმწოდებელს არ აქვს უფლება დაუდგინოს დისტრიბუტორს გასაყიდი საქონლისა ან მომსახურების მინიმალური ფასი ან მოახდინოს გადასაყისი ფასის ფიქსაცია.
- თუმცა, მას შეუძლია განუსაზღვროს მაქსიმალური ფასი ან მისცეს სარეკომენდაციო ფასები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ გაუტოლდება ფიქსირებულ ან მინიმალურ ფასს ზეწოლის ან სხვადასხვა სტიმულის მეშვეობით.

# რეგულაცია No 330/2010

- ანთავისუფლებს ვერტიკალურ შეთანხმებებს, რომლებიც:
  1. არ შეიცავს მძიმე შეზღუდვებს
  2. თითოეულ მხარეს აქვს არაუმეტეს ბაზრის 30%
- თუ რომელიმე კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს მაშინ ხდება ანალიზი 101-ე მუხლის მიხედვით.

# განთავისუფლების შეუძლებლობა

განთავისუფლება არ გამოიყენება იმ შეთანახმებების მიმართ, რომლებიც შეიცავენ განსაზღვრულ შეზღუდვებს, იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ბაზრის **50% მეტი** დაფარულია მსგავსი ვერტიკალური შეზღუდვების ქსელით (მაგალითად, შერჩევითი დისტრიბუციის დროს, რადგან ეს იწვევს ბაზრის დახურვას).

# სრული საქონლის შესყიდვის აკრძალვა

- ხელშეკრულება პირდაპირ ან არაპირდაპირ არ უნდა აველდებულებდეს მყიდველს იყიდოს მომწოდებლისაგან ან ამ მომწოდებლის მიერ მითითებულ სხვა საწარმოდან მყიდველის მთლიანი სახელშეკრულებო საქონელის ან მომსახურების 80% მეტი.
- მაგალითი იყო ბელგიაში ლუდის ბაზარზე

# თანამშრომლობის პროგრამა

მუხლი 33<sup>1</sup> . თანამშრომლობის პროგრამა

- პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:
  - ა) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;
  - ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;
  - გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;
  - დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;
  - ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;
  - ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.
- არ ვრცელდება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.
- <https://admin.competition.ge/uploads/fb1db852bfe14a5ba8689a10cb3a2a15.pdf>

# სახელმწიფო დახმარება - ასოცირების შეთანხმება

მუხლი 206  
სუბსიდიები

1. ამ მუხლის მიზნისთვის „სუბსიდია“ არის ღონისძიება, რომელიც აკმაყოფილებს სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრულ პირობებს მიუხედავად იმისა, სუბსიდია გაცემულია საქონლის წარმოებისათვის თუ მომსახურების მიწოდებისათვის და რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული შეთანხმების მე-2 მუხლით.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს საჯაროობა სუბსიდიების სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში იმ სუბსიდიის სამართლებრივი საფუძვლის, ფორმის, ოდენობის ან ბიუჯეტის და სადაც შესაძლებელია, სუბსიდიის მიმღების შესახებ, რომელიც გაცემულია მისი მთავრობის ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ საქონლის წარმოებასთან მიმართებაში. ანგარიში წარდგენილად ითვლება, თუ შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია თითოეული მხარის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე.

3. მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე მხარემ დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და გასცეს პასუხი ცალკეულ სუბსიდიასთან დაკავშირებულ კითხვებს, თუ სუბსიდია ეხება მომსახურების მიწოდებას.

# WTO Agreement on Subsidies and Countervailing Measures

სუბსიდიას იარსებებს თუ:

ა. 1. ფინანსური დახმარებას აქვს ადგილი მთავრობის მიერ ან რომელიმე საჯარო დაწესებულების მიერ, ე.ი. თუ:

I. მთავრობის/სახელმწიფოს პრაქტიკა მოიცავს ფონდების პირდაპირ ტრანსფერს (მაგალითად, გრანტს, სესხს, აქციების/კაპიტალის გადაცემას), თანხების ან ვალდებულებების პოტენციურ პირდაპირ ტრანსფერს (მაგალითად, სესხის გარანტია);

II. მთავრობის შემოსავალი, რომელიც მისაღებია, უარი იქნა ნათქვამი ან არ არის ამოღებული (ფისკალური სტიმულები, როგორც არის საგადასახადო კრედიტი);

III. მთავრობა ახდენს მოწოდების ისეთი საქონლის ან მომსახურების, რომელიც ზოგად ინფრასტრუქტურას არ წარმოადგენს ან ყიდულობს საქონელს;

IV. მთავრობა იხდის დაფინანსების მექანიზმით, ან ანდობს ან მიმართულებას აძლევს კერძო დაწესებულებებს განახორციელოს ერთი ან მეტი ფუნქცია, რომელიც მოცემულია I-III პუნქტებში, რაც ჩვეულებრივ სახელმწიფო ფუნქციას წარმოადგენს და ეს პრაქტიკა არანაირად განსხვავდება იმ პრაქტიკისაგან, რომელსაც იყენებს მთავრობა; ან

ა. 2. არსებობს რაიმე ფორმით შემოსავალის ან ფასის დახმარება 1994 წლის GATT შეთანხმების მე-16 მუხლის მნიშვნელობით; და

ბ. სარგებელი არის გადასული.

# 107 მუხლი TFEU

1. სახელმწიფო დახმარება, გაცემული წევრი სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსების მეშვეობით ნებისმიერი ფორმით, რომელიც ამახინჯებს კონკურენციას ან რომელიც საფრთხეს შეიცავს კონკურენციის დამახინჯების რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტების დახმარებით ან რომელიმე განსაზღვრული საქონლის წარმოების დახმარებით, შიდა ბაზართან შეუსაბამოა, რამდენადაც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.
2. შემდეგი სახის სახელმწიფო დახმარება თავსებადია შიდა ბაზართად:
  - ა. სოციალური ხასიათის, გაცემული ინდივიდუალურ მომხმარებლებზე, იმის გათვალისწინებით რომ ეს დახმარება გაცემული პროდუქტის წარმოშობის დისკრიმინაციის გარეშე;
  - ბ. სახელმწიფო დახმარება, რომელიც ითვალისწინებს სტიქიური უბედურებებისა და განსაკუთრებული მოვლენების შედეგების გამოსასწორებას;
  - გ. დახმარება გაცემული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რომელიმე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც გამომდინარეობს გერმანიის გაყოფიდან და ითვალისწინებს არახელსაყრელი მდგომარეობის საკომპენსაციოდ (5 წელი მოქმედება ლისაბონის შეთანხმების შეთანხმების ძალაში შესვლიდან).

# 107 მუხლი TFEU

3. შემდეგი სახელმწიფო დახმარება შეიძლება ჩაითვალოს შიდა ბაზართან შესაბამისად:
- ა. დახმარება, რომელიც გაიცემა იმ რეგიონების ეკონომიკური განვითარების წახალისებისათვის, სადაც ცხოვრების დონე არანორმალურად დაბალია ან სადაც სერიოზული პრობლემა არსებობს დასაქმების;
  - ბ. სახელმწიფო დახმარება, რომელიც ითვალისწინებს ევროპული საერთო ინტერესის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ან წევრი სახელმწიფოსთვის სერიოზული ეკონომიკური კრიზისის გასამკლავებლად;
  - გ. რომელიმე ეკონომიკური აქტივობების ან ეკონომიკური რეგიონის განვითარების წახალისებისათვის, თუ ასეთი დახმარება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სავაჭრო პირობებზე ერთიანი ევროპის ინტერესის საწინააღმდეგოდ;
  - დ. დახმარება, რომელიც ითვალისწინებს კულტურის ან კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის წახალისებას, იმ შემთხვევაში თუ ეს დახმარება არ ახდენს გავლენას ევროკავშირში სავაჭრო პირობებზე და კონკურენციაზე ერთიანი ევროპის ინტერესის საწინააღმდეგოდ;
  - ე. ასეთი კატეგორიის სხვა დახმარებები, რომლებიც განსაზღვრული უნდა იყოს საბჭოს მიერ კომისიის წარდგინებით.

“კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის  
მე-12-15 მუხლები;

საქართველოს მთავრობის დადგენილება 2014  
წლის #529 “ინდივიდუალური სახელმწიფო  
დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და  
სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის  
დამტკიცების შესახებ” (ცვლილებები შევიდა  
2020 წელს)

# სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზანი ევროკავშირში

- განსაზღვრული საბაზრო ჩავარდნის/პრობლემის არსებობა
- ეს პრობლემა სახელმწიფო ჩარევის გარეშე ვერ მოგვარდება
- უნდა არსებობდეს კონკრეტული გეგმა პრობლემის მოგვარების
- ევროკავშირში არსებობს “good aid”-ს დეფინიცია, რომლის ძირითადი კრიტერიუმი არადისკრიმინაციულობაა.

# ირლანდიური საქმე - Apple წინააღმდეგ

- კომისიამ 30.09.2012 წ. დაადგინა, რომ ირლანდიამ Apple-ს მისცა გადაჭარბებული საგადასახადო სარგებელი 13 მილიარდ ევრომდე. ეს კი ევროკავშირის სახელმწიფო დახმარების ნორმების მიხედვით უკანონოა, რადგან აღნიშნული კომპანია იხდიდა მნიშვნელოვნად ნაკლებ გადასახადს ვიდრე სხვა კომპანიები. ირლანდიამ უნდა აანაზღაუროს უკანონო დახმარება.
- [http://europa.eu/rapid/press-release IP-16-2923 en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-16-2923_en.htm)
- [http://ec.europa.eu/competition/state aid/cases/253200/253200\\_1851004\\_666\\_2.pdf](http://ec.europa.eu/competition/state_aid/cases/253200/253200_1851004_666_2.pdf)

# მაგალითები

- საყოველთაო ჯანდაცვა
- სკოლების და ბაღების მშენებლობა
- დენის, გაზის, წყლის მიყვანა ქალაქიდან მოშორებულ დასახლებებში
- საფოსტო მომსახურების მიწოდება ქალაქიდან მოშორებულ დასახლებებისათვის
- **SGEI (Services of General Economic Interests)**
- [http://ec.europa.eu/competition/state\\_aid/overview/public\\_services\\_en.html](http://ec.europa.eu/competition/state_aid/overview/public_services_en.html)
- [http://ec.europa.eu/competition/publications/cpn/2012\\_1\\_9\\_en.pdf](http://ec.europa.eu/competition/publications/cpn/2012_1_9_en.pdf)

## მუხლი 12. სახელმწიფო დახმარება

1. აკრძალულია სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას, თუ ის:

ა) გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;

ბ) მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას;

გ) მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ღონისძიების განხორციელებას;

დ) მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;

ე) გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ვ) მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტის განხორციელებას, თუ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება.

3. სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა:

ა) გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის;

ბ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის.

# 12.2.ვ მუხლით გაცემული სახელმწიფო დახმარებები

- ჰუმანიტი ჯორჯია
- ლოპოტა

1... მოწონებულ იქნეს „სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ სესხის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №2036 განკარგულებით გათვალისწინებულ სესხის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ განკარგულების გამოცემის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (გარდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტისა) და ინფორმაცია (მათ შორის, პროექტის განმარტებითი ბარათი) მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად.

# მუხლი 13. სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმების წესი და პროცედურები

1. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმების წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმების წესის საფუძველზე სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო სააგენტოს წარუდგენს განცხადებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნის, სახელმწიფო დახმარების ფორმის, ოდენობისა და მიმღები ეკონომიკური აგენტის თაობაზე.
3. სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო სააგენტოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებასთან ერთად წარუდგენს იმის დასაბუთებას, რომ გასაცემი სახელმწიფო დახმარება არსებითად არ ზღუდავს კონკურენციას.
4. სააგენტო მისთვის წარდგენილი განცხადების (ინფორმაციის) საფუძველზე ამოწმებს გასაცემი სახელმწიფო დახმარების ამ კანონის დებულებებთან შესაბამისობას და არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა გასცემს სათანადო დასკვნას. საქმის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ეს ვადა შეიძლება 3 თვემდე გაგრძელდეს. დადგენილ ვადაში სააგენტოს მიერ დასკვნის გაუცემლობა თანხმობად მიიჩნევა.
5. სააგენტოს უფლება აქვს, სახელმწიფო დახმარების გამცემ ორგანოს ან/და მიმღებ ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რაც ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას სააგენტო წარუდგენს სახელმწიფო დახმარების გამცემ ორგანოს და საქართველოს მთავრობას.
7. საქართველოს მთავრობა, რომელსაც სააგენტოს უარყოფითი დასკვნა წარედგინა, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის საკითხზე

# მუხლი 14. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა

1. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა, რომელიც სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
2. უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო ვალდებულია ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე, მიაწოდოს სააგენტოს ინფორმაცია გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ოდენობის, გაცემის ვადისა და მიმღები ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე.
3. სააგენტო უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებების რეესტრში შეტანას.
4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებების რეესტრის წარმოების პროცესში სააგენტო დაადგენს, რომ გაცემული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ოდენობა აღემატება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობას, იგი ამზადებს სათანადო დასკვნას და მას უგზავნის როგორც სახელმწიფო დახმარების გამცემ ორგანოს, ისე მის ზემდგომ ორგანოს (არსებობის შემთხვევაში).

• საქმეები: <https://competition.ge/decisions/state-aid>

➤ ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის“ გასაცემი სახელმწიფო დახმარების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. სახელმწიფო დახმარების გაცემა იგეგმებოდა რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის (მევენახეობა/ხეხილის მოშენება და ა.შ.).

➤ ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის“ გასაცემი სახელმწიფო დახმარების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. სახელმწიფო დახმარების გაცემა იგეგმებოდა რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის (სასათბურე მეურნეობის მოწყობა და სხვ.).

## მუხლი 15. გაცემული სახელმწიფო დახმარების გასაჩივრება

- თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაბამის ბაზარზე კონკურენციას ან/და დარღვეულია კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურასთან დაკავშირებით, პირს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი, შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს გაცემული სახელმწიფო დახმარება

საქართველოს მთავრობის  
2014 წლის 1 სექტემბერის  
დადგენილება №529 (შევიდა ცვლილებები  
2020 წელს)

**ინდივიდუალური სახელმწიფო  
დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და  
სახელმწიფო დახმარების გაცემის  
ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ**

# ამ წესის მიზანია:

- ა) სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ბ) სახელმწიფო დახმარების უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების პროცედურის დადგენა;
- გ) სახელმწიფო დახმარების კანონთან და ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ დებულებებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) უფლებამოსილების განსაზღვრა;
- დ) კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრა.
- ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფო დახმარებაზე, რომლის გაცემას, კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ესაჭიროება სააგენტოსთან შეთანხმება და რომელიც გაიცემა შემდეგი მიზნით:
- ა) გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისთვის;
- ბ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისთვის.

### მუხლი 3.

## სახელმწიფო დახმარების ფორმა და სახელმწიფო დახმარების გაცემის პრინციპები

1. სახელმწიფო დახმარებად ითვლება საბიუჯეტო სახსრების ან სახელმწიფო რესურსების გადაცემით ან სხვა შეღავათის დაწესებით ეკონომიკური აგენტისთვის შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მინიჭება, ნებისმიერი ფორმით.
2. სახელმწიფო დახმარების გაცემისას დაცული უნდა იყოს არასდისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.
3. ეს წესი არ ვრცელდება კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, გარდა ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. (12.2.ე. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით)

# მუხლი 7. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა

1. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობად ითვლება დახმარება, რომლის მოცულობა ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 400 000 ლარს, გარდა ამ მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტებით დადგენილი შემთხვევებისა.

2. სახმელეთო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის სფეროში მოქმედ ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო დახმარება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სახმელეთო-სატვირთო ტრანსპორტის შესყიდვისათვის.

# სახელმწიფო დახმარების ფორმებია

- ა) გადასახადებისგან გათავისუფლება, მათი შემცირება ან გადავადება;
- ბ) ვალის ჩამოწერა, რესტრუქტურირება;
- გ) სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემა;
- დ) საოპერაციო აქტივების გადაცემა;
- ე) ფულადი დახმარების გაწევა;
- ვ) მოგების მიღების გარანტია;
- ზ) შეღავათები;
- თ) სხვა. (2014 წლის ვერსიით იყო ეს ჩამონათვალი)

მადლობას გიხდით ყურადღებისათვის!

კითხვები თუ გაქვთ??

საკონტაქტო ინფორმაცია:

[smenabdishvili@gmail.com](mailto:smenabdishvili@gmail.com)

ტელ: 599244542